ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 105/19

ქ. თბილისი **12 დეკემბერი 2019 წ.**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **თამაზ ნატრიაშვილის** სახით, და მეორეს მხრივ **შპს „ომექსი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ომეხ კიკალიშვილის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი № 1-ით გათვალისწინებული საქონლის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების № 1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **231,89(ორას ოცდათერთმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრა თეთრი)** ლარს, და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მოსაკრებელს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს არაუგვიანეს **2019 წლის 22 დეკემბრის** ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. საქონლის მიწოდება დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის **თანამშრომელს ვლადიმერ მარგველაშვილს.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება მომსახურებაზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომეტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.

5.4. საქონლის მიწოდების დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის მიწოდების დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს აღნიშნული საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.1.5. მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მისაწოდებელი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 პროცენტის ოდენობით.

7.2.4. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.2.5. მიმწოდებლისგან ითხოვოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე .

7.2.6. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.3. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020 წლის 30 იანვრის** ჩათვლით.

9.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

9.3 ხელშეკრულებაში ცლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

9.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

9.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი“	შპს „ომექსი“
მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N10	**მისამართი**: თბილისი, წერეთლის ბ. 87
ტელეფონი/ფაქსი: 2 321 165 / 2 323 956	**ტელეფონი/ფაქსი:** 2 51 61 01
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204862256	**საიდენ. N:** 404906401
ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა	**ბანკის დასახელება:** ს.ს“ თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი:** TBCBGE22
ანგარიში: 200122900	**ანგარიში:** GE 43 TB 74 04 83 60 20 10 00 03
დირექტორი	დირექტორი
_____ თ. ნატრიაშვილი	_____ ო.კიკალიშვილი
ბ.ა. LEPL Raphiel Dvali Institute of Machine Mechanics Digitally signed by LEPL Raphiel Dvali Institute of Machine Mechanics Date: 2019.12.12 12:03:42 -08'00'	*ბ.ა.*

დანართი № 1

2019 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულება № 105/19

ხელშეკრულების ობიექტი

ხელშეკრულების ობიექტია გამარტვებული შესყიდვის საშუალებით „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ შემდეგი დასახელების საქონლის შესყიდვა:

N	შესყიდვის ობიექტების კლასიფიკატორის კოდები	დასახელება		განზ. ერთ.	რაოდ.	ერთეულის ღირებულება (ლარი)	თანხა (ლარი)
		შესყიდვის ობიექტების კლასიფიკატორის მიხედვით	მიმწოდებლის მიხედვით				
1	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 30*150 მმ DIN 934	კგ.	4,500	7,00	31,50
2	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 27*120 მმ DIN 934	კგ.	6,300	7,00	44,10
3	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 24*80 მმ DIN 934	კგ.	3,500	6,50	22.75
4	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 20*80 მმ DIN 934	კგ.	4,800	6,50	31,20
5	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 12*50 მმ DIN 934	კგ.	1,000	6,50	6,50
6	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 10*50 მმ DIN 934	კგ.	0,715	6,50	4,65
7	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 8*25 მმ DIN 934	კგ.	0,265	6,50	1,72
8	44531400	ჭანჭიკები	ჭანჭიკი M 6*25 მმ DIN 934	კგ.	0,135	6,50	0,88
9	44531600	ქანჩები	ქანჩი M 30 მმ DIN934	კგ.	1,000	6,50	6,50
10	44531600	ქანჩები	ქანჩი M 27 მმ DIN934	კგ.	1,400	6,50	9,10
11	44531600	ქანჩები	ქანჩი M 24 მმ DIN934	კგ.	0.900	6,50	5.85
12	44531600	ქანჩები	ქანჩი M 20 მმ DIN934	კგ.	1,000	6,50	6,50
13	44531600	ქანჩები	ქანჩი M 12 მმ DIN934	კგ.	0,300	6,50	1,95
14	44531600	ქანჩები	ქანჩი M 10 მმ DIN934	კგ.	0,200	6,50	1,30
15	44531600	ქანჩები	ქანჩი M 8 მმ DIN934	კგ.	0,090	6,50	0.59
16	44531600	ქანჩები	ქანჩი M 6 მმ DIN934	კგ.	0,040	6,50	0.26
17	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 30 მმ DIN 9021	კგ.	1,400	6,50	9,10

18	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 27 მმ DIN 9021	კგ.	2,200	6,50	14,30
19	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 24 მმ DIN 9021	კგ.	1,200	6,50	7.80
20	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 20 მმ DIN 9021	კგ.	1.300	6,50	8.45
21	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 12 მმ DIN 9021	კგ.	0,400	6,50	2.60
22	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 10 მმ DIN 9021	კგ.	0.165	6,50	1.07
23	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 8 მმ DIN 9021	კგ.	1.110	6,500	7.22
24	44532200	შუასადებები	საყელური გადიდებული M 6 მმ DIN 9021	კგ.	0,050	6,50	0.33
25	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 24 მმ DIN 127B	კგ.	0,200	6,50	1.30
26	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 20 მმ DIN 127B	კგ.	0.300	6,50	1.95
27	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 12 მმ DIN 127B	კგ.	0,075	6,50	0.49
28	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 10 მმ DIN 127B	კგ.	0,100	6,50	0.65
29	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 8 მმ DIN 127B	კგ.	0,100	6,50	0.65
30	44532200	შუასადებები	საყელური ზამბარები M 6 მმ DIN 127B	კგ.	0,100	6,50	0,65

ჯამი: 231.89

სსიპ „რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი“	**შპს „ომექსი“**
დირექტორი	დირექტორი
_____თ. ნატრიაშვილი	_____ ო.კიკალიშვილი